

პროექტების სიმრავლე და დაგეგმილი მაშტაბური საპროექტო სამუშაოები, გვადლევს შესაძლებლობას, ყოველ 5-6 თვეში ერთხელ მაინც მივიღოთ ახალი 1 ან 2 კადრი. ჩვენი მიზანია, საპროექტო ჯგუფი ეტაპობრივად შევქმნათ 10 გამოცდილი და წარმატებული არქიტექტორის შემდაგენლობით. შესაბამისად, მოტივირებულ, პუნქტუალურ და საპროექტო სამუშაოების გამოცდილების მქონე პირებს, ჩვენ მუდმივად ვთავაზობთ გრძელვადიან და მდგრად სამსახურს!..

**❖ არქიტექტორის ვაკანსიის მაძიებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:**

- ✓ საქართველო ნებისმიერ მუნიციპალიტეტში უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთი მრავალსართულიანი (არანაკლებ 7 სართულიანი) სახლის (კორპუსის) პროექტი დამოუკიდებლად შეთანხმებული;
- ✓ უნდა იყოს 25-დან 50 წლამდე ასაკის;
- ✓ უნდა იყოს უმაღლესი განათლებით, პროფესიით არქიტექტორი და უნდა იცნობდეს შემდეგ ნორმატიულ აქტებს:
  - საქართველოს მთავრობის N: 41 დადგენილებას (28.01.2016 წ.);
  - თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14-39 დადგენილებას (24.05.2016 წ.);
  - საქართველოს მთავრობის N: 57 დადგენილებას (24.03.2009 წ.);
- ✓ უნდა ფლობდეს შემდეგ პროგრამებს: Archicad-ს, Autodesk Autocad-ს და Lumion-ს;
- ✓ თავისუფლად უნდა ფლობდეს ქართულ ენას და სასურველია 1 უცხო ენის ცოდნა, მინიმალურ დონეზე მაინც.

**❖ დამხმარე არქიტექტორის ვაკანსიის მაძიებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:**

- ✓ უნდა იყოს 22-დან 40 წლამდე ასაკის;
- ✓ უნდა იყოს უმაღლესი განათლებით, პროფესიით არქიტექტორი;
- ✓ უნდა ფლობდეს შემდეგ პროგრამებს: Archicad-ს, Autodesk Autocad-ს და Lumion-ს;

 ვაკანსია ცხადდება ყველა შემთხვევაში სრულ სამტატო განაკვეთზე;

✚ ყოველთვიური ხელფასის გასაცემი ოდენობა (საშემოსავლო და საპენსიო გადასახადების გამოკლებით), განისაზღვრება სტაბილური ხელფასის სახით (რასაც ემატება ბონუსი), საშუალოდ:

- > ორგანიზაციის მთავარ არქიტექტორზე - შეთანხმებით;
- > პროექტის მთავარ არქიტექტორზე - 2 500 (ორიათასხუთასი) ლარით + ბონუსი;
- > არქიტექტორზე - 1 700 (სამი ათასი) ლარით + ბონუსი;
- > დამხმარე არქიტექტორზე - 1 200 (ათას ორასი) ლარით + ბონუსი;
- > პროექტის ზედამხედველი არქიტექტორი (შეთავსებით) – 500 (ხუთასი) ლარი.

✚ კომპანიაში, 3 თვიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ, ყველა დასაქმებულს აქვს შანსი, დაწინაურდეს უფრო მაღალ პოზიციაზე, თუ იგი აკმაყოფილებს დამსაქმებლის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს;

✚ გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაზღვევა და სხვა მატერიალური შეღავათები. ასევე, დაგეგმილია ანაზღაურების ეტაპობრივი ზრდაც.

✚ სამუშაო საათები: ყოველდღე, კვირის გარდა, 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე. თვეში 200 საათზე მეტი დროით მუშაობის შემთხვევაში, დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება ორმაგად.

#### ✚ არ განიხილება:

- ჩვენს კომპანიაში მუშაობის გამოცდილების გარეშე, რომელიმე პროექტის მთავარი არქიტექტორის პოზიციაზე პირის მიღება!..
- CV, რომელიც უკვე განხილულია ამავე კომპანიის მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში, თუ განხილვის ეტაპზე, ვაკანსიის მაძიებელს, უკვე ეთქვა უარი დასაქმებაზე.

✚ ნებისმიერ ვაკანსიაზე კანდიდატის მიღება განხორციელდება მოწოდებულ CV-ების განხილვის შედეგად, ხოლო, საუკეთესო მაჩვენებლის მქონე არქიტექტორები მოწვეულ იქნებიან გასაუბრებაზე, რის შემდეგაც განხორციელდება პრეტენდენტის მიღება.

✚ ჩვენ ვაძლევთ შესაძლებლობას სტუდენტებსა და დამწყებ არქიტექტორებს, ჩართონ საპროექტო სამუშაოებში მოხალისეობად (რაც ჩაითვლება საერთო სტაჟში) და მათ მიერ საჭირო უნარ- ჩვევების გამოვლენის შემთხვევაში, კომპანია შემოგთავაზებთ წამახალისებელ ანაზღაურებასა და შემდგომ კი - დასაქმებას!..

✚ დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი CV ფოტოსურათით, ელ-მისამართზე: [citydevelopment.net@gmail.com](mailto:citydevelopment.net@gmail.com)

გისურვებთ წარმატებებს...